

უმრავლესობის წევრი ლადო პაპავა ხელისუფლებას აკრიტიკებს!

გაზეთი “ვერსია”, 19-23 ოქტომბერი, № 27, 2007

მართალია, ხელისუფლებამ დაძაბული პოლიტიკური სიტუაციის გასანეიტრალებლად გარკვეული ნაბიჯები გადადგა, მაგრამ მაინც არავინ იცის, რა მოხდება 20 ნოემბერს. ბოლო დროს ქვეყანაში განვითარებულ პროცესებზე “ვერსია” საპარლამენტო უმრავლესობის წევრს, პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილეს ვლადიმერ პაპავას ესაუბრა:

– ბატონო ლადო, უმრავლესობასთან შეხვედრის დროს საქართველოს პრეზიდენტი რამდენიმე ახალი ინიციატივით გამოვიდა, ეს სპონტანური გადაწყვეტილება იყო თუ კონსულტაციები მანამდეც მიმდინარეობდა?

– სამწუხაროდ, უმრავლესობის შეხვედრას ვერ დავესწარი. უკვე არაერთი წელია საერთაშორისო ორგანიზაციები რეკომენდაციას გვიწევენ, რომ საარჩევნო ბარიერი 7-დან 5 პროცენტამდე ჩამოვიდეს, მისი გადალახვის შესაძლებლობა ბევრ პარტიას მიეცეს და პარლამენტი მრავალფეროვანი იყოს. ასეთ შემთხვევაში ამომრჩევლის ხმაც არ დაიკარგება და მისი ხმები სხვა პარტიების სასარგებლოდ ნაკლებად გადანაწილდება. 7 პროცენტიან ბარიერს ბევრი ვერ გადალახავს და შესაძლოა, პარლამენტში უკეთეს შემთხვევაში მხოლოდ ორი პარტია იყოს წარმოდგენილი. საარჩევნო ბარიერი ადრე თუ გვიან უნდა დაეწიათ და სჯობს გვიან, ვიდრე არასდროს. რაც შეეხება მეორე ინიციატივას, რომ საპარლამენტო და საპრეზიდენტო არჩევნები ერთდროულად, ყოველ 5 წელიწადში ჩატარდეს ამასთან დაკავშირებით მოგახსენებთ, რომ პარლამენტმა უკვე დაუჭირა მხარი პრეზიდენტის ინიციატივას, რომ 2008 წლის შემოდგომაზე საპარლამენტო და საპრეზიდენტო არჩევნები ერთჯერადად ერთდროულად რომ ჩატარდეს. ნამდვილად არ მეგონა, რომ საერთოდ, ასეთ სისტემაზე უნდა გადავიდეთ, როცა პრეზიდენტი და პარლამენტი ერთდროულად იქნება ყოველთვის ასარჩევი. როგორც კონსტიტუციაში გვქონდა, საპარლამენტო არჩევნები 4, ხოლო საპრეზიდენტო არჩევნები 5 წელიწადში ერთხელ უნდა ჩატარებულიყო, რაც იმას ნიშნავს, რომ 20 წელიწადში ერთხელ მაინც მოხდებოდა არჩევნების დამთხვევა. მაშასადამე, კონსტიტუცია ამგვარ დამთხვევას მხოლოდ 20 წელიწადში ერთხელ ითვალისწინებდა. შემოთავაზებული ვარიანტი ბევრ კითხვას აჩენს და უფრო ბუნდოვანია, რადგან საპრეზიდენტო და საპარლამენტო არჩევნების ცალ-ცალკე ჩატარება ქვეყნის დემოკრატიული განვითარებისთვის ბევრად უფრო სასარგებლოა. თუმცა ვფიქრობ, საკითხი უფრო სხვანაირად დგას, ვიდრე არჩევნების დამთხვევაა. ბუნებით მონარქისტი გახლავართ, კონსტიტუციური მონარქიის მომხრე, ამიტომ ადფრთოვანებული დავრჩი, როდესაც უწმინდესის და უნეტარესის აზრი ამ საკითხზე კიდევ ერთხელ მოვისმინე. ეს სერიოზული ნაბიჯია, რომელსაც მოსამზადებელი პერიოდი სჭირდება, და ამ პერიოდში ყველაზე მოსახერხებელი, შუალედური მოდელი – საპარლამენტო რესპუბლიკაა, რაც კონსტიტუციურ მონარქიაზე გარდამავალი მოწყობა იქნება და მის დასამყარებლად მოამზადებს ნიადაგს. იმ შემთხვევაშიც თუ ქვეყანაში

საპრეზიდენტო მმართველობა დარჩება, პრეზიდენტისა და პარლამენტის ყველა არჩევნებზე ერთად არჩევა დემოკრატიულ განვითარებას ხელს არ შეუწყობს. თუმცა, პოლიტიკური მოწყობის როგორი სისტემა გვექნება, საპარლამენტო, თუ საპრეზიდენტო რესპუბლიკა, თუ კონსტიტუციური მონაქია, ეს ხალხის გადასაწყვეტია. მაგრამ ვიდრე ამას ხალხი რეფერენდუმით გადაწყვეტს, სჯობს საპრეზიდენტო და საპარლამენტო არჩევნები გამიჯნული იყოს.

– რატომ დაწია ხელისუფლებამ საარჩევნო ბარიერი სწორედ ახლა, ხალხის უკმაყოფილების შეეშინდა?

– ვერ გეტყვით, ასეთ (და არა მარტო ასეთ) საკითხებზე ჩემთან კონსულტაციებს არ მართავენ. იმ პრობლემებისა და გამოცდილების გაზიარებით რაც დღეს პარლამენტშია, სჯობს, რაც შეიძლება, მეტი პარტია იყოს წარმოდგენილი.

– პრეზიდენტის გამოსვლის შემდეგ საზოგადოების ნაწილში გაჩნდა განცდა, რომ პრეზიდენტი დათმობაზე წავიდა...

– თუ ასეთი განცდა დარჩა, კარგია და პრეზიდენტის სასარგებლოდ მეტყველებს. ის ოპოზიციის პრეზიდენტიც არის და თუ მისი ხმა გაიგონა, ამას მხოლოდ მივესალმები.

– სინამდვილეში სააკაშვილის მხრიდან ეს რა მანევრი იყო, შეიძლება შეფასდეს, როგორც დათმობა?

– აქამდე პრეზიდენტი და ნაციონალური მოძრაობა საარჩევნო ბარიერის დაწევას არ აპირებდნენ. ახლა ასეთი გადაწყვეტილება მიიღეს. ეს დათმობაა თუ არა, ვერ ვიტყვი, რადგან დღეს ოპოზიცია სხვა რამეს ითხოვს და არა საარჩევნო ბარიერის შეცვლას. ოპოზიცია პარლამენტის არჩევნების ხსენებულ საკონსტიტუციო ცვლილებებამდე დადგენილ ვადებში ჩატარებას იხოვს. პრეზიდენტი კი იმას სთავაზობს, რასაც ოპოზიცია გუშინ ითხოვდა, არ მგონია, რომ ეს დათმობა იყოს.

– როგორ ფიქრობთ, ოპოზიცია კომპრომისზე წავა და ამას დასჯერდება?

– ვფიქრობ დღეს ოპოზიციის კი არა, ხალხის მოთხოვნებია გასათვალისწინებელი. არ მინდა ვინმემ შეურაცხყოფილად იგრძნოს თავი, მაგრამ დღეს პრაქტიკულად „უთავო“ ოპოზიცია გვყავს იმ თვალსაზრისით, რომ მას ერთი გამორჩეული ლიდერი არ ჰყავთ. რაკი სხვადასხვა ოპოზიციური პარტიების ლიდერები არიან წარმოდგენილი, ამიტომ ერთ რომელიმე პოლიტიკურ ძალასთან შეთანხმების ან გარიგების საკითხი აღარ დგას. შეუთანხმდები უსუფაშვილს და საკითხავია რამდენად გაიზიარებს ამას გამსახურდია და ა.შ. ამ ეტაპზე ორ რამეს აქვს მნიშვნელობა, პირველი – როგორია ხალხის ნება და მეორე, – რამდენად შეინარჩუნებენ ოპოზიციური პარტიები ერთიანობას.

– როგორ ფიქრობთ, ხალხის ნება რა არის?

– თუ ხალხი გამოვა და 2008 წლის გაზაფხულზე საპარლამენტო არჩევნების ჩატარებას მოითხოვს, მაშინ ეს მისი ნება იქნება. თუ საჭირო რაოდენობის ხალხი არ მოგროვდა, ეს ნიშნავს, რომ ხალხის ნება არ ყოფილა

სსენებული საგაზაფხულო არჩევნები და ყველაფერი ძველებურად დარჩება. ხალხმა საკუთარი ნება თავად უნდა გამოხატოს. დღეს ვერ ვიტყვი, ხალხს რა სურს.

– როდესაც ოპოზიციური პარტიების ხელისუფლებაში მოსვლაზეა ლაპარაკი, აქცენტს არავენ აკეთებს საარჩევნო პროგრამებზე.

– ეს არც არავის არ სჭირდება. ათ წელიწადზე მეტია, არჩევნებში ვიღებ მონაწილეობას ხან პირდაპირი, ხან ირიბი ფორმით და არაერთი პარტიისთვის საარჩევნო პროგრამის ფრაგმენტი მაინც დამიწერია. მაგრამ ეს პროგრამები გადამწყვეტი არასდროს ყოფილა. პროგრამა ჩვენთან არჩევნების მხოლოდ ფორმალური ატრიბუტია და ისიც მხოლოდ იმიტომ, რომ მსოფლიოში ასეა მიღებული. არ ვიცი პარტია, რომელსაც ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ ეს პროგრამა გახსენებია. ყველაზე საინტერესო ის არის, რომ ასეთი პროგრამა ამომრჩეველსაც არ სჭირდება. წარმოვიდგენიათ, რომ რომელიმე პარტიამ პროგრამა დაწეროს, დაარიგოს და ხალხმა მისი გაფაციცებით კითხვა დაიწყოს? ხალხისგან ამგვარი დაკვეთა არ მოდის და პარტიებიც არასერიოზულად უყურებენ ამ საკითხს. ხშირად მათ პროგრამებს საკმაოდ ჭკვიანი ადამიანებიც უწერენ, მაგრამ ამ პარტიათა ლიდერები თავადაც კი არ კითხულობენ შიგნით რა წერია. დარწმუნებული ვარ სახელმწიფო მოწყობის როგორ მოდელზეც არ უნდა გადავიდეთ, ხალხში პოლიტიკურ პროგრამებზე მოთხოვნა სამწუხაროდ, ჯერ-ჯერობით, მაინც არ იქნება. ეს ზოგადად პოლიტიკური კულტურის ნაკლებობაზე მიგვითითებს.

– ვნახეთ, რომ ქარიზმის მიხედვით არჩევანის გაკეთება არ ამართლებს. დღეს ოპოზიციასაც არ ჰყავს ერთი ქარიზმატული ლიდერი, როგორ ფიქრობთ ამჯერად მაინც ხალხს სურვილი არ გაუჩნდება გაიგოს, ამა თუ იმ პარტიას რისთვის ირჩევს, მისგან რას ელის?

– იმ შეცდომებიდან გამომდინარე, რაც ხელისუფლებამ დაუშვა ბოლო წლების გამნმავლობაში, ხალხს უარყოფითი მუხტი დაუგროვდა. ხალხის მოთხოვნა, – რომ ოპოზიცია გაერთიანდეს, უფრო პროტესტის გამოვლინებაა, ვიდრე იმისი გააზრება, კონკრეტულად რა სურს.

– იმ ფაქტებიდან გამომდინარე, რაც ბოლო პერიოდში მოხდა, თუნდაც ირაკლი ოქრუაშვილთან დაკავშირებით, შეგვიძლია, თუ არა ვთქვათ, რომ „ნაცმოძრაობის“ წევრებისგან დაკომპლექტებულ მთავრობაში კლანური დაჯგუფებები ჩამოყალიბდნენ, რომლებიც ერთმანეთს უპირისპირდებიან?

– ნებისმიერ ერთობაში შეიძლება მოხდეს განხეთქილება. შესაძლოა საერთო პარტრიულ ინტერესებს პირადად ინტერესებმა გადაძალოს. ეს მომხდარა არა მხოლოდ საქართველოში და არა მხოლოდ პოლიტიკაში. ბოლოს და ბოლოს მრავალწლიანი ოჯახები ინგრევა ხოლმე. მთავარია, „განქორწინება“ რამდენად ცივილიზებულად მოხდება. შეცდომა იყო ის, რომ ოქრუაშვილმა თავი პოლიტიკურ ლიდერად წარმოიდგინა. ნუთუ არ იცოდა, დანაშაული ჰქონდა თუ არა ჩადენილი? თავად არ იცოდა, რომ მის (და არა მარტო მის) სამინისტროში უკანონო ფონდები არსებობდა? არ იცოდა, ვის აძლევდა დაკვეთებს და ყველაფერი რომ ნაცნობ-მეგობრობით ხდებოდა? ხელისუფლებას ის მექანიზმი რომც არ გამოეყენებინა, რაც მის წინააღმდეგ აამუშვა, ადრე თუ გვიან თავად ხალხი ყველას მაინც თავის ადგილს მიუჩენდა, ამიტომ ასეთი ფიგურების გალიდერება შეუძლებელიცაა.

– თუმცა ითქვა, რო ოქრუაშვილის ფაქტორი ბადრი პატარკაციშვილის პოლიტიკური ზრახვების გამოსააშკარავებლად გამოიყენეს.

– ბატონი ბადრი პატარკაციშვილი იმდენად მდიდარი პიროვნებაა, იმდენად დაცულია მისი ბიზნესინტერესები უცხოელი პარტნიორების მხრიდან, რომ მას გამოაშკარავება არ სჭირდებოდა.

– მისი პოლიტიკური ამბიციების შესახებ ცნობილი ხომ არ იყო?

– ნაკლებად მგონია, რომ მას პოლიტიკური ამბიციები, ჰქონდეს. შესაძლოა სურს, ხელისუფლებაში მისთვის მისაღები პიროვნებები იყვნენ, მაგრამ ნაკლებად მგონია, რომ მილიარდერ პატარკაციშვილს ამ პატარა საქართველოს პრეზიდენტობა უნდოდეს. შეგახსენებთ, რომ 2006 წელს ბიზნესმენტა ფედერაციაში მან თავისი პროტესტი დააფიქსირა. ასე, რომ ის დღევანდელი ხელისუფლების იდეების, შეხედულებებისა და ქმედებების გამოხარებული არც არასდროს ყოფილა. უბრალოდ შესაძლოა ოქრუაშვილის ფაქტორმა სიტუაცია უფრო გაამწვავა.

– ოქრუაშვილის მიერ დაწყებული ბრალდებები რამდენიმე დღის შემდეგ მწერალმა ირაკლი კაკაბაძემ გააგრძელა, რომელმაც განაცხადა, რომ პრეზიდენტის ბიძას კავშირი აქვს ვინმე გუდვინთან, რომელიც რუსულ მაფიასთან არის შეკრული და ბერეზოვსკის დაჯგუფებასთანაა დაპირისპირებული, ეს ბრალდებებიც დამაჯერებლობას მოკლებულია?

– თუ ბატონი კაკაბაძე დამამტკიცებელ დოკუმენტებს წარმოადგენს, ეს უკვე საკმაოდ სერიოზული ბრალდება იქნება. წიმაალმდეგ შემთხვევაში, ნებისმიერ ადამიანს შეუძლია, ვინმე გალანძლოს. იმდენად შორს ვარ პრეზიდენტის ოჯახისაგანან, რომ რაიმეს თქმა გამიჭირდება; ქალბატომ გიული ალასანიას წმინდა საუნივერსიტეტო საქმიანობიდან ვიცნობ, პრეზიდენტის მამა კი ძალიან ადრე, საავადმყოფოში მკურნალობისას გავიცანი. ოჯახის სხვა წევრებთან შეხება არასდროს მქონია, ამიტომ პრეზიდენტის ბიძაზე ვერაფერს ვიტყვი. სხვათა შორის, პრეზიდენტმა ანტიკორუფციული საბჭოს შექმნის შესახებ საკმაოდ საინტერესო იდეა წამოაყენა, თუმცა ეს სხვა პრობლემებსაც უკავშირდება, იმიტომ, რომ საბჭოს წევრებსაც ეყოლებათ ნათესავები და ახლა მათი კორუფციაში მონაწილეობის საფრთხე შეიქმნება.

– როდესაც ასეთი მასშტაბის ბრალდებებზეა საუბარი, ხომ არ ჩნდება ეჭვი, რომ ხელისუფლების დისკრედიტაციის გეგმა, რომელიმე სხვა ქვეყანაში შეიქმნა და დრეს სწორედ ეს გეგმა ხორციელდება?

– არ გამოვრიცხავ, რომ ასეთი გეგმები არსებობს: ჩვენ აშკარად გამოკვეთილი მტერი გვყავს, რომელმაც აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის ანექსია მოახდინა, სადაც რუსული პასსპორტები დაარიგა. რუსეთი ჩვენთან ნახევრად “ცივ” ომში იმყოფება, იმიტომ, რომ ხანდახან გებომბავს კიდევაც. დარწმუნებული ვარ რუსეთის სპეცსამსახურებში ათასნაირი გეგმა იწერება, მაგრამ კონკრეტულად ვინ არის ამ მტრის იარაღი საქართველოში პერტე, პავლე თუ ივანე, ნამდვილად არ ვიცი. რუსეთის მიზანია, რომ როგორმე საქართველო ნატოსკენ არ წავიდეს და მისი გავლენის სფეროში დარჩეს.

– როდესაც გარეშე საფრთხეებზეა საუბარი, კობა დავითაშვილის მიერ დასმული ჩინეთიზაციის პრობლემაც შეიძლება გავიხსენოთ, თუმცა ბატონი კობა სულ სხვა სახის საფრთხეებზე ლაპარაკობდა.

– ყველა ქვეყანას აქვს საემიგრაციო კანონმდებლობა. ის რაც ბატონმა კობა დავითაშვილმა თქვა, არახალია და სავსებით მისაღებია. სახელმწიფო ამ საკითხზე აუცილებლად უნდა მუშაობდეს და რაც უფრო მალე გააკეთებს ამას მით უკეთესი იქნება. კარგია, რომ ქვეყნის კარი ღია გვაქვს და ბევრ უცხოელს შეუძლია ჩამოსვლა, მაგრამ ასეთი ნებართვა ავტომატურად მუშაობის დაწყებას არ უნდა გულისხმობდეს. ქვეყანას, რომელსაც ტერიტორიები აქვს დასაბრუნებელი და მოსახლეობა ჰყავს მისახედი, რომ როგორმე მსყიდველობითუნარიანი გახდეს, ვფიქრობ ასეთ საკითხში სიფრთხილე ნამდვილსად მმართველს.

– პოლიტიკურ ფონს ფასების კატასტროფული ზრდაც ამბობს...

– ის რასაც მთავრობა ფასების შესახებ გვეუბნება მახლოდ ნახევრად სიმართლეა. მსოფლიო ბაზარზე ნავთობი და ხორბალი მართლაც გაძვირდა, მაგრამ საქართველოში გაიზარდა სხვა პროდუქციის ფასიც. ამის მიზეზებზე არავინ საუბრობს და არავინ ამბობს, რომ ეს გაძვირება საბიუჯეტო სახსრების ხარჯვის მცდარმა პოლიტიკამ გამოიწვია. იმის მიუხედავად, რომ ეროვნულ ბანკს აკრიტიკებენ, მისი ფულად საკრედიტო პოლიტიკა სწორია. ქვეყანაში შემოსულმა ჭარბმა დოლარმა ეროვნული ვალუტის გამყარება გამოიწვია. ეს კი ექსპორტს სერიოზულ საფრთხეს უქმნის და ისეთი მცირე ზომის ქვეყნისთვის, როგორც საქართველოა, ეკონომიკურ კოლაფსს ნიშნავს. ეროვნულმა ბანკმა ჭარბი დოლარები რეზერვების შესავსებად კი შეიძინა, მაგრამ იყიდა ლარით, რომელიც ბრუნვაში გავიდა და ამით ინფლაციის დონე გაზარდა. ასეთ პირობებში ეროვნულ ბანკს მთავრობამაც უნდა დაუჭიროს მხარი და დეფიციტურის ნაცვლად პროფიციტური ბიუჯეტი დაგეგმოს, ანუ ჭარბი შემოსავლები კი არ უნდა დახარჯოს, არამედ მომავალი წლებისთვის შეინახოს. ჩვენი სახელმწიფო ეკონომიკურად დღეს “ცალ ფეხზე” დგას და ეს “ცალი ფეხი” ეროვნული ბანკია, ხოლო “მეორე ფეხი” – მთავრობა მას არ ეხმარება. ჩვენს ბიუჯეტში ძალიან ბევრი არაპროდუქტიული ხარჯებია, რომელიც მხოლოდ ინფლაციას უწყობს ხელს.

– ითქვა, რომ საბოტაჟს აქვს ადგილი და ფასები ხელოვნურად, ინფლაციის ფაქტორისგან დამოუკიდებლად მოხდა...

– ასეთი ინფორმაცია არ მაქვს, ასეთი კვლევა ანტიმონოპოლიურ სამსახურს უნდა ჩაეტარებინა. ბატონ კახა ბენდუქიძეს დიდი „მადლობა“ უნდა ვუთხრათ, რომ ეს სამსახური დაგვინგრია. ამ სამსახურის ერთერთი ძირითადი საქმიანობა ასეთი ფაქტების გამოვლენა და აღკვეთაა. დღეს სახელმწიფო მოსახლეობის ასეთი ფაქტორებისგან ვეღარ იცავს, იმიტომ, რომ ასეთი ინსტიტუტი არ გააჩნია.

– რას ელოდებით 2 ნოემბერს?

– იქნება მიტინგი, შეიკრიბება ხალხი, ღრმად ვარ დარწმუნებული, – მშვიდობიანი, როგორც აცხადებს ოპოზიცია და ადასტურებს ხელისუფლება. რა რაოდენობის ხალხიც მოვა, გადაწყვეტილებაც შესაბამისი იქნება. შესაძლოა იყოს გარკვეული პოლიტიკური ცვლილებები. ყველაფერი შეიძლება მოხდეს,

როგორც კანონმდებლობის შეცვლა, ასევე მთავრობის დათხოვნა, ან თუნდაც პარლამენტის მომავალ გაზაფხულზე არჩევა. ჩემი პირადი აზრი თუ გაინტერესებთ, უფრო მე საზოგადოდ სტაბილურობა მირჩევნია, იმიტომ, რომ 1988 წლის შემოდგომიდან დაიწყო საქართველოში მდეღვარებები და 19 წელია, “ეუღკანზე” ვცხოვრობთ. როდისმე ხომ უნდა ეღირსოს ჩვენს ქვეყანას დამშვიდება. ეს კი, როგორც წესი, ნებისმიერ ქვეყანაში უმთავრესად ხელისუფლების პრეროგატივაა!